საქართველო

თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის
მერიის სახელმწიფო შესყიდვების
სამსახური
ქუთაისი 4600 რუსთაველის გამზ. №3
ტელ: 24-24-03
24-46-33

GEORGIA

The Service of State
Procurement of Kutaisi City Hall
Kutaisi 4600 Rustaveli str. 3
TEL: 24-24-03
24-46-33

№ 01/106
06.06.2012

შ.პ.ს ,,კომუნმშენპროექტი-2006"-ის ტექ. დირექტორს
ბატონ გრიგოლ გვანცელაძეს

ბატონო გრიგოლ,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ქალაქ ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების (კომისიის 06.06.2012 წლის სხდომის ოქმი №2) საფუძველზე გაცნობებთ, რომ ქალაქ ქუთაისში (ქუჩები, ჩიხები, ბინების წინა ეზოები) გარე განათების სამუშაოების ჩატარებისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის (194 ობიექტი) მიზნით 2012 წლის 31 მაისს (საკონკურსო განაცხადი №499) გამოცხადებულ კონკურსში თქვენს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია არ შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს. კერძოდ, კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში არ არის მითითებული შემსყიდველი ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი, რომლის მითითების აუცილებლობა გათვალისწინებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე-6 მუხლის, მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით და ქალაქ ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის განცხადების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით.

„კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესი"-ს დამტკიცების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე საკონკურსო კომისიამ მოახდინა შ.პ.ს „კომუნმშენპროექტი-2006"-ის დისკვალიფიკაცია.

პატივისცემით,

კოტე რატიანი

სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი,
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე